

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გურამ ალექსანდრეს ძე კარგოზია

"ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენის ენობრივი ასპექტები

10. 02. 01 – ქართველური ენები

ავტორუფურატი  
დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1997

-1536-

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ "ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გეჟსტის დამდგენ კომისიასა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართველურ ენათა კვლევის ლაბორატორიაში.

ექსპერტიზა — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
*კ. ბაბუნაშვილი.*

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *მ. ჭუმბურიძე.*  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი  
*ვ. ცოცანიძე.*

წამყვანი დაწესებულება — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 28.06. 14 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P 10.02 C №6 სხდომაზე.


მისამართი: 380028 თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

ნაშრომს შეიძლება გაეყენოს თსუ ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში (მალღივი კორპუსი).

დისერტაციის ავტორეფერატი დაიგზავნა 28.05.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი

*ვ. წიბაბაშვილი*



"ვეფხისტყაოსნის" გეჟსტზე მკვლევართა რამდენიმე თაობა გარჯილა. ბევრი რამ ვაკეთდა პოემის გეჟსტის დადგენისათვის, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია როგორც სტრუქტურული შედგენილობის გარკვევის, ისე ცალკეული ადგილების წაკითხვისა და გაგების მხრივ. თხზულება საბოლოოდ არ არის გაწმენდილი ინტერპოლაციებისაგან. ამასთან, ბევრი სტროფი, რომლებიც დღეს ჩანართად არის ჩათვლილი, ელოდება თავის კუთვნილ ადგილს ძირითად გეჟსტში. მრავალი ცალკეული წაკითხვა მივლის საბოლოო დადგენას. მკვლევრები ვერ შეთანხმებულან, თუ რომელ ვარიანტს მისცენ უპირატესობა. ყველაფერი ეს — ამრთა სხვადასხვაობა, უთანხმოება — ასახვას პოეზის პოემის უკანასკნელი ხანის გამოცემებში, რომლებიც მნიშვნელოვნად სხვაობენ ერთმანეთისაგან როგორც შედგენილობით, ისე წაკითხვებითაც. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ რიგ შემთხვევაში საკამათოდ არის ქცეული და უსაფუძვლოდ დაწუნებული გამოცემებში დამკვიდრებული ბევრი სწორი, სავსებით რუსთაველური წაკითხვა. ბოვი წაკითხვა მკვლევართა შორის, მართალია, დავას არ იწვევს, მაგრამ სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული.

რუსთაველოლოგიური ძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს "ვეფხისტყაოსნის" გეჟსტის ცალკეული ადგილების ნაირკითხვათა სწორი ანალიზი და მართებული წაკითხვების დადგენა. როგორც ცნობილია, პოემა გვიანდელი ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული და ეს ნუსხები ხშირად სხვადასხვაგვარად წარმოვდიდგენენ გეჟსტის ამა თუ იმ ადგილს. განსხვავებულია ცალკეულ სიგყვათა ფორმები, თვით სიგყვები, შესიგყვებები და მოგჯერ — მთელი ტაქტები. გეჟსტოლოგთა ამოცანაა სხვადასხვა ვარიანტიდან შეარჩიონ შესაფერი, ყველაზე უფრო მისაღები წაკითხვები და დაამკვიდრონ პოემის ძირითად გეჟსტში. მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ ხელნაწერებში წარმოდგენილი არც ერთი ვარიანტი არ არის მისაღები. მაშინ მკვლევარნი იძულებული არიან მიმართონ კონიექტურას, ვარაუდით ადაღანონ ის სიგყვა თუ შესიგყვება, რომელიც ხელნაწერებს არ შემოუნახავთ და რომლის სახეცელილებას უნდა წარმოადგენდოს, სხვანაირად რომ ვთქვათ, რომლიდანაც უნდა მომდინარეობდეს ხელნაწერებში დადასტურებული წაკითხვები.